ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N230623/1
(პროგრამული კოდი 27 01 09)

ქ. თბილისი **ივნისი, 2023 წელი**

ერთი მხრივ **სსიპ – „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თენგიზ გენძეხაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) მის: ქ.თბილისი, ა.წერეთლის N144, ს/კ №200294519; სახელმწიფო ხაზინა, კოდი № TRESGE22, ანგარიში/სახაზინო GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორე მხრივ **შპს ადა** წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის N4 ს/კ 405027830, სს საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE82BG0000000626529900; ელექტრონული ფოსტა: order@adashop.ge, ტელ: 599 317 931

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანია სააგენტოს საჭიროებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, დამაგრძელებელი კაბელების სახელმწიფო შესყიდვა, (CPV31224810 - დამაგრძელებელი კაბელები), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ლოჯისტიკის სამმართველოს 2023 წლის 06 ივნისის NHA 6 23 00590299 წერილის და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **476.00 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 შესაბამისობის დადგენა.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“-ს ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ლევან ლაბაძე.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის, შესახებ ინფორმაცია რაოდენობის, ერთეულის ღირებულების, ტექნიკური მახასიათებლის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართი N1-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია: **ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზრი N144;**

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 1 (ერთი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 1 (ერთი) დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული;
10.2. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას ან/და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, საჯარო სამართლის კორპორაცია „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;
10.4. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით და მე-5 მუხლის 5.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. ამ მუხლის 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ან არ შეცვლის საქონელს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის/საქონლის შეცვლისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების/საქონლის შეცვლის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებლი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემდეგ გამოვლინდა, რომ იგი არ შეესაბამება დანართი N1-ით გათვალისწინებულ მახასიათებლებს და დარღვეულია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად. შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით და იტოვებს უფლებამოსილებას ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშერკულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;
14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
14.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას, მხარეს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
14.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
14.5. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ასევე, შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო"

_____

თენგიზ გენძეხაძე
სააგენტოს დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

LEPL National Health Agency
Digitally signed by LEPL National Health Agency
Date: 2023.06.23 11:54:18 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს ადა

_____

გიორგი ღუღუნიშვილი
დირექტორი

ADA LLC
Digitally signed by ADA LLC
Date: 2023.06.23 12:12:32 +04'00'

230623/1 ხელშეკრულების დანართი N1 ფასთა ცხრილი

N	დამაგრძელებლის სახეობა	ტექნიკური აღწერილობა	წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ფასი	მიწოდების ვადა
1	ელექტრო დამაგრძელებელი	სიგრძე; 3მ ; ჩამრთველის რაოდენობა 5, შემაერთებელი კაბელით და ჩანგლით, დამიწება: დიახ.	ჩინეთი Defender / Product number 99485	20	11.4	228	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში
2	ელექტრო დამაგრძელებელი	სიგრძე; 5მ ; ჩამრთველის რაოდენობა 5, შემაერთებელი კაბელით და ჩანგლით, დამიწება: დიახ.	ჩინეთი Defender / Productnumber 99486	20	12.4	248	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში
	ჯამი:					476	